


ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია თბილისში



ევანგელურ-
ლუთერანული ეკლესია
არქიტექტორები: უ. კ რ ე
პ ტ ი, გ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ
ი. 1996-97. თბილისი.

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია თბილისში,
მდებარეობს მტკვრის მარცხ. მხარეს (ლუთერანთა ძვ.
სასაფლაოს ტერიტორიაზე, ძვ. თბილისის რ-ნი). კომპლექსი
აშენებულია 1996-97 (არქიტექტორები: უ. კრეპტი, გ.
მეტრეველი) საქართველოში მცხოვრებ გერმანულ
თანამოქალაქეთა ეროვნ. და რელიგ. ტრადიციების
აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით. აქვეა გერმ. თემის
სახლი. საკრალურ დარბაზს შენობის საბ. და საცხოვრ.
ნაწილებთან აერთიანებს ორსართულიანი ვესტიბიული.
ეკლესიის ტერიტ. კეთილმოწყობილია, ხეივნის დასაწყისში
აგებულია საქართველოში მცხოვრები გერმ. კოლონისტების
ხსოვნის მემორიალი.
